## განკარგულება N

## ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ბუკისციხის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ იანეულში მდებარე უსახელო ქუჩისთვის ისააკ კეკელიძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების თანახმად,

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:**

**მუხლი 1.**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ბუკისციხის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ იანეულში მდებარე უსახელო ქუჩას და ხუთ ჩიხს მიენიჭოს ისააკ კეკელიძის სახელი თანდართული ნახაზისა და ორთოფოტოს შესაბამისად.

**მუხლი 2.**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

**მუხლი 3.**

განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4.

**მუხლი 4 .**

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.